

დევიდ სიმონი და ჯეიკობ სოუერსი

ედვარდ რელფის „ადგილი და უადგილობა“

დიდი ხანია, გეოგრაფები ადგილის გეოგრაფიისათვის მნიშვნელოვნებას იმ უნიკალურ საყრდენად თვლიან, ამ დისციპლინას სხვებისაგან რომ განასხვავებს. ასტრონომიისათვის ასეთი რამ ზეცაა, ისტორიისათვის დრო, გეოგრაფიისთვის კი ადგილი, თუმცაღა, გეოგრაფებს ადრე თუ გვიან უნევთ, იკითხონ, „ზუსტად რას ჰქვია ადგილი?“ ადგილმდებარეობის სინონიმია, ბუნებისა და კულტურის უნიკალურ კრებულს აღნიშნავს, თუ რამე უფრო მეტს?

1970-იანი წლების დასაწყისში, ი-ფუ ტუანი (174), ენ ბატიმერი (1876), ედვარდ რელფი (1976, 1981, 1993) და სხვა გეოგრაფები უკმაყოფილონი იყვნენ ადგილის ცნების განსაზღვრებით, რომელიც მათ თვალში ფილოსოფიურად და ექსპერიმენტულად ბუნდოვანი მოჩანდა. ეს მოაზროვნეები, რომლებსაც ზოგჯერ „ჰუმანისტურ გეოგრაფებად“ მოიხსენიებენ, ადგილს ადამიანური გამოცდილებათა განუყოფელ ნაწილად განიხილავდნენ. ამ ახლებური მიდგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაყოფი ედვარდ რელფის „ადგილი და უადგილობაა“, წიგნი, რომელსაც დღესაც საგულისხმო თეორიული და პრაქტიკული გავლენა აქვს გეოგრაფიაზე და მის გარეთ.

1970-იანი წლების დასაწყისში რელფი ტორონტოს უნივერსიტეტის დოქტორანტი იყო და კანადის ეროვნულ იდენტობასა და კანადის ფარის¹ სიმბოლური ლანდშაფტების, განსაკუთრებით, ტბებისა და ტყეების (რელფი, 1996) ურთიერთმიმართებას სწავლობდა. სულ უფრო აწუხებდა ადგილის განსაზღვრების ფილოსოფიური არასრულყოფილება. გეოგრაფიის დისციპლინის იდეურ ბურჯად მიჩნეული ეს ცნება ზედაპირულად და არასრულყოფილად მიაჩნდა, განსაკუთრებით, მისი ადამიანის ყოველდღიურ ყოფასთან მიმართების მნიშვნელოვანების გამო. როგორ შეიძლება, ადგილზე მიჭაჭვულობას, ადგილის აღქმას, ან ადგილის იდენტობას ვსწავლობდეთ და ადგილის ცნების სიღრმე და კომპლექსურობა ისე ზედმინევნით არ გვესმოდეს, როგორადაც ის ნამდვილი ადამიანების მიერ ნამდვილ ადგილებში აღიქმება და ფორმირდება? საბოლოოდ, რელფმა კანადის ფართან დაკავშირებულ დისერტაციაზე მუშაობის ნაცვლად, გადაწყვიტა, ადგილის, როგორც ადამიანურ გამოცდილებათა განუყოფელი ნაწილის, ბუნება და მნიშვნელობა უფრო ფართო ქრილში ეკვლია.

¹ გეოლოგიური ფარი ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე

ადგილისა და სივრცის ფენომენოლოგია

1976 წელს გამოცემული „ადგილი და უადგილობა“ რელფის 1973 წელს ტორონტოს უნივერსიტეტში, გეოგრაფიაში დაცული სადოქტორო დისერტაციის გადამუშავებული ვერსიაა. წიგნის დასაწყისში იგი თავის კვლევით მეთოდად „ადგილის ფენომენოლოგიას“ ასახელებს (რელფი 1976, გვ. 4-7). ფენომენოლოგია ადამიანურ გამოცდილებათა ინტერპრეტაციული კვლევაა. მისი მიზანია, გადასინჯოს და გამოერკვიოს ადამიანურ მდგომარეობებში, მოვლენებში, მნიშვნელობებსა და გამოცდილებებში, რომლებიც ყოველდღიურობას ქმნიან, თუმცა, როგორც წესი, აღქმის ცნობიერი დონის მიღმა, შეუმჩნეველი რჩებიან (სიმონი 2000). ფენომენოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი ძალა აშკარას, მაგრამ გამოურკვევლის მოძიება და მისი განხილვაა. აშკარას რომ ავხადოთ ფარდა, ჯერ თავისთავად მიღებული მიდგომებისა და დაჯერებებისაგან გამიჯვანა საჭირო, როგორც ყოველდღიურ ყოფაში, ისე თეორიული შეხედულებებისა და ახსნა-განმარტებების სამყაროში, მეცნიერების სფეროს ჩათვლით. „ადგილსა და უადგილობაში“ რელფი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ადგილის თავისთავად მიჩნეულ ბუნებასა და მის მნიშვნელობას, როგორც ადამიანური ყოფისა და გამოცდილების გარდაუვალ განზომილებას.

„ადგილი და უადგილობა“ სივრცისა და მისი ადგილთან მიმართების მიმოხილვით იწყება. რელფის აზრით, სივრცე ცარიელი, ან იზომეტრიული სიბრტყე, ანდაც ადგილების შემცველი სათავსო არაა. სივრცის ადგილის მეტად ექსპერიმენტულ საფუძველზე დამყარებულ გაგებასთან მიმართება რომ ვიკვლიოთ, თავად სივრცეშიც იმგვარად უნდა გამოვერკვიოთ, როგორც ის ადამიანების გამოცდილებაშია დამკვიდრებული. მართალია, რელფი ამბობს, რომ სივრცული აღქმის უთვალავი სახე და სიმდაფრე არსებობს, თუმცა იგი ევრისტიკულ სტრუქტურას გამოარჩევს, რომელიც „იმ კონტინუუმშია ჩაშენებული, რომელიც, ერთი მხრივ, ცალსახა გამოცდილებას ებმის, მეორე მხრივ კი, აბსტრაქტულ აზრს“ (რელფი 1876, გვ. 9). პირველ კატეგორიაში იგი სივრცულ გამოცდილებათა იმ ფორმებს გამოყოფს, რომლებიც ინსტინქტური, სხეულებრივი და უშუალოა. მაგალითისთვის, რელფი მათ პრაგმატულ, პერცეფციულ და ეგზისტენციალურ სივრცეებს უწოდებს. მეორე კატეგორიაში სივრცულ გამოცდილებათა ის სახეები მოიაზრებიან, რომლებიც მეტად აზრობრივი, იდეალური და არახელშესახებია. ასეთია, მაგალითად, გეგმითი, კოგნიტური და აბსტრაქტული სივრცეები. რელფი ახასიათებს იმ მონაცვლეობად ინტენსივობას, რომლითაც ყოველდღიურობაში სივრცულ გამოცდილებათა ზემოთხსენებული ფორმები განიცდება. მაგალითად, ეგზისტენციალური სივრცე, რომელიც ადამიანის კულტურასა და სოციალურ სტრუქტურებზე დაშენებული ყოველდღიურობის

თითქოსდა-თავისთავადი გარემოსა და სივრცის აგებულებაა, შესაძლოა, საკმაოდ გათვიცნობიერებულად შეიძლება იქნეს განცდილი, დავუშვათ, მაშინ, როცა ადამიანს გოთიკური სტილის ტაძრის მშვენიერება და სინმინდე ააღელვებს, თუმცა, ისიც შეიძლება, ეს აღქმა გაუთვიცნობიერებელი და გამოუხატველი იყოს, მაგალითად, მაშინ, როცა ადამიანი ყოველდღე ოფისში მუშაობს და თავის გარემოს ყურადღებას თითქმის არ აქცევს.

რელფის მიერ გამოყოფილი სივრცის ფორმები ყოველდღიურ გამოცდილებებში სპეციფიკურ როლს თამაშობენ, თუმცა, ავტორი ხაზს უსვამს, რომ რეალობაში ეს ფორმები არაურთიერთგამომრიცხავია და განუყოფელი ნაწილებია ადამიანის სივრცული გამოცდილებისა, განვლილისა და დაუნანვერებლის. მაგალითად, რელფის განმარტებით, რუკაზე დაყრდნობით აღქმული კოგნიტური წარმოდგენები სივრცეზე, შესაძლოა, პერსექტივულ ცოდნას აშენებდნენ და ნამდვილ სამყაროში არსებულ ადგილებში გადაადგილებისას, ჩვენს ყოველდღიურ სივრცით ხედვას განსაზღვრავდნენ. მართალია, 1970-იან წლებში ეს რადიკალური აზრი გახლდათ, თუმცა, დღესდღეობით, რელფის დასკვნა, რომ სივრცე ჰეტეროგენულია და მრავალ სხვადასხვა ყოფით განზომილებასთანაა გადაჭდობილი, გეოგრაფიული კვლევის სფეროში მეტწილად ბუნებრივად მიიჩნევა და მკვლევრები წმინდა, გენდერის მიხედვით დაყოფილ, კომოდიფიკაციურ თუ სხვა სივრცეებს სწავლობენ.

„ადგილსა და უადგილობაში“ რელფის ერთ-ერთი ძირითადი მიღწევა სივრცისა და ადგილის ურთიერთმიმართებაში არსებულ მჭიდრო ცნებით კავშირზე ხაზგასმია. ბევრი გეოგრაფი ორივე ცნებას განიხილავს, თუმცა მათ მაინც ერთმანეთისგან განცალკევებულად მოიაზრებს, ანდაც ნაკლებ ყურადღებას უთმობს მათ ეგზისტენციალურ და კონცეპტუალურ კავშირს. რელფის თვალში, ადგილის უნიკალური თვისება ადამიანური ზრახვების, გამოცდილებებისა და ქმედებების სივრცესთან შესაბამისობაში განლაგებისა და თავმოყრის უნარია. ამგვარად, რელფი სივრცესა და ადგილს ადამიანის გარემოებრივ გამოცდილებაში დიალექტიკურად განლაგებულად აღიქვამს, ვინაიდან სივრცის ჩვენეული გაგება იმ ადგილებთანაა გადაბმული, სადაც ვსახლობთ, ამავდროულად კი, ეს ადგილები მნიშვნელობას თავიანთი სივრცული კონტექსტით იძენენ.

ადგილის სიღრმე

რელფის მიერ ადგილის ცნების ზედმიწევნითი კვლევის მთავარი მიზეზი მისი მტკიცე რწმენაა, რომ საკითხში ამგვარ გამორკვევას უკვე არსებულ ადგილებზე ზრუნვაში, მათი აღდგენასა და ახალი ადგილების შექმნაში წვლილის შეტანა შეუძლია (აგრეთვე იხ. რელფი 1981, 1993). მკვლევრის აზრით, ადგილის სრულყოფილი აღქმის გარეშე, ვინაიდან ეს

ცნება ამხელა ადამიანური მნიშვნელოვანებითაა დატვირთული, გაგვიჭირდება, გამოვხატოთ ამა თუ იმ ადგილის განსაკუთრებულობა და ვერც იმას შევძლებთ, გავაუმჯობესოთ არსებული ადგილები, რომლებიც ცვლილებებს საჭიროებენ. მოკლედ რომ ვთქვათ, რამის ზუსტად განსასაზღვრად მისი სწორად დახასიათება უნდა შეგვეძლოს, რაც ფენომენოლოგიური კვლევის უმთავრესი მიზანია.

ადგილის ცნების გადასინჯვის პროცესში, რელფი განაცალკევებს ადამიანის ადგილიდან და ადგილთან იდენტობებს. ადგილის იდენტობას იგი ახასიათებს, როგორც „სტაბილურ იგივეობასა და ერთიანობას, რომელიც მას [ადგილს] სხვებისაგან განარჩევს“ (რელფი 1976, გვ. 45). რელფი სტაბილური იდენტობის სამ კომპონენტს განარჩევს: (1) ადგილის ფიზიკურ მახასიათებლებს; (2) მასში მიმდინარე აქტივობებს, სიტუაციებსა და მოვლენებს; (3) ინდივიდუალურ და ჯგუფურ მნიშვნელობებს, რომლებიც ამ ადგილთან დაკავშირებული გამოცდილებებითა და განზრახვებით უყალიბდებათ ადამიანებს.

თუმცადა, რელფი აღნიშნავს, რომ ადგილის იდენტობის ეს სამნაწილიანი განმარტება საკმარისად მტკიცე და ეგზისტენციალურად ღრმა არაა, რადგან ადგილები არსებითად, „სამყაროსთან ჩვენი უშუალო შეხების მრავალმნიშვნელოვანი ღერძები“ არიან (რელფი 1976, გვ. 141). ადგილების რაობა უკეთ რომ გვესმოდეს, ისეთი ენა გვესაჭიროება, რომლის მეშვეობითაც ადგილთან დაკავშირებულ გამოცდილებებს მნიშვნელობისა და განზრახვის იმ შესაბამისი ინტენსივობით დავახასიათებთ, როგორიც ადგილსა და ადამიანს ერთმანეთთან აკავშირებს. რელფისათვის ამ ყოფიერი ინტენსივობის სირთულე ადგილთან იდენტობაა, რომელსაც იგი *შიდაობის* ცნებით ახასიათებს, რაც იმ მიჯაჭვულობას, ჩართულობასა და მზრუნველობას მოიაზრებს, ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი რომ ადგილსადმი განიცდის.

შიდაობა და გარეობა

შიდაობის რელფისეული ინტერპრეტაცია ადგილის აღქმაში შეტანილი, შეიძლება ითქვას, მისი ყველაზე თვითმყოფადი წვლილია, რადგან იგი ეფექტურად ხდის თვალსაჩინოს, რომ ეს ცნება ცოცხალი საძირკველია ადგილის იმ სტრუქტურისა, როგორი მნიშვნელობაც მას ადამიანის ყოფაში უჭირავს. თუკი პიროვნება ადგილსშიგნით გრძნობს თავს, იგი აქ უფროა, ვიდრე იქ, საფრთხეზე მეტად უსაფრთხოებას გრძნობს, დაუცველობაზე მეტად, დაცულობას, მღელვარებაზე მეტად კი, სიმშვიდეს. რელფის აზრით, რაც უფრო ღრმად განიცდის ადამიანი ადგილსშიგნით ყოფნას, მით უფრო მტკიცედაა მისი იდენტობა ამ ადგილთან გადაჭაჭვული.

მეორე მხრივ, შესაძლოა, ადამიანი ადგილისაგან განცალკევებასა და გაუცხოებას განიცდიდეს. ადგილთან დაკავშირებული გამოცდილების ამ ფორმას რელფი გარეობას უწოდებს. ამ შემთხვევაში, ადამიანები თავიანთ თავებსა და სამყაროს შორის გარკვეულ ცოცხალ ბარიერს, განშორებულობას შეიგრძნობენ. ასეთია, მაგალითად, ახალ ადგილას ყოფნისას განცდილი სახლის მონატრება. საკვანძო ფენომენოლოგიური აზრი იმაში მდგომარეობს, რომ შიდაობა და გარეობა ადამიანის ყოფიერებაში ფუნდამენტურ დიალექტიკას წარმოშობენ, ხოლო შიდაობისა და გარეობის მონაცვლე კომბინაციებისა და ინტენსივობისდა გამო, ცალკეული ადგილები სხვადასხვაგვარ იდენტობებს იძენენ სხვადასხვა ინდივიდებისა და ჯგუფებისათვის, ამიტომაც ადამიანურ გამოცდილებებსაც სხვადასხვაგვარი გრძნობიერი, მნიშვნელობითი, ატმოსფერული და მოქმედებითი თვისებები დაჰყვებათ.

ადგილთან დაკავშირებულ გამოცდილებებში ყველაზე მძლავრი განცდა ისაა, რასაც რელფი ეგზისტენციალურ შიდაობას უწოდებს. ეს ადგილთან ღრმა, გაუთვინობიერებელი შერწყმის მდგომარეობაა და ადამიანები მას მაშინ გამოცდიან, როცა სახლში, თავიანთ თემსა და რეგიონში იმყოფებიან. ეგზისტენციალური შიდაობის საპირისპიროდ რელფი ეგზისტენციალურ გარეობას მიიჩნევს, რაც მოწყვეტილობისა და უცხოობის განცდაა, ისეთი, რომელიც ხშირად ეუფლებათ რომელიმე ადგილას ახალჩასულებს, ან იმ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი დაბადების ადგილიდან განშორებულები, დაბრუნებისას თავს უცხოდ გრძნობენ, რადგან ადგილი ისეთი აღარაა, როგორადაც წარსულში იცნობდნენ.

წიგნში რელფი შიდაობისა და გარეობის შვიდ ფორმას განიხილავს (თუმცა, მათი რიცხვი, ნამდვილად მეტია), რომლებიც ემპირიული ჩართულობისა და მნიშვნელობის სხვადასხვა დონეებშია ჩაშენებული. ამ ფორმების ღირებულება, განსაკუთრებით, თვითცნობიერებაში, ისაა, რომ ისინი კონკრეტულ ადგილებთან დაკავშირებულ გამოცდილებებს ერგებიან, თუმცა იმ ცნებით სტრუქტურასაც ქმნიან, რომლის მეშვეობითაც ამგვარ გამოცდილებათა მეტად სრულყოფილად, უფრო ზუსტი ტერმინების მეშვეობით აღქმაც შესაძლო.

უადგილობა

წიგნის მეორე ნახევარში, რელფი იმ ფორმებს გადასინჯავს, რომლებზე დაყრდნობითაც ადგილები ავთენტურად, ან არაავთენტურად შეიძლება იქნეს აღქმული (ეს ტერმინები ფენომენოლოგიური და ეგზისტენციალური ფილოსოფიიდანაა ნასესხები). ადგილის ავთენტური განცდა „ადგილის იდენტობის სრული კომპლექსურობის პირდაპირი და წრფელი გამოცდილებაა, რომელიც არაა ნაშუამდგომლები და

გამრუდებული საკმაოდ პირობითი სოციალური და ინტელექტუალური წარმოდგენების ზეგავლენით იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ეს გამოცდილება, და არც სტერეოტიპულ წესებს ეყრდნობა (რელფი 1976, გვ. 64).

ინდივიდები თუ ჯგუფები ადგილის აღქმას გაუცნობიერებლადაც შეიძლება ქმნიდნენ და განზრახაც. ამიტომაც, გამუდმებული გამოყენებისდა გამო, თითქოს არაფრით გამორჩეული ურბანული უბანი ისეთივე ავთენტური ადგილი შეიძლება იყოს, როგორც ჰელენისტური ათენი, ანდაც გოთიკური სტილის კათედრალებია. რელფის თვალში ამ ორმა უკანასკნელმა ცნობიერი მიდგომით მიიღო საკუთარი ფორმა. ავტორის აზრით, თანამედროვე ეპოქაში ადგილის ავთენტურ აღქმას თანდათანობით ჩრდილავს ნაკლებად ავთენტური მიდგომა, რომელსაც იგი უადგილობას უწოდებს. ეს „სპეციფიკური ნიშნებით გამორჩეული ადგილების სასხვათაშორისო მოსპობა და მათი ერთგვაროვანი ლანდშაფტებით ჩანაცვლებაა, რასაც საფუძვლად ამა თუ იმ ადგილის მნიშვნელოვნებისადმი გულგრილობა უდევს“ (რელფი 1976, შესავალი).

რელფი ვარაუდობს, რომ, ზოგადად, უადგილობა კიჩიდან, პოპულარული ღირებულებების კრიტიკული გადასინჯვის გარეშე მიღებიდან, ან ტექნიკურობიდან, იმ განწყობიდან წარმოიშობა, რომლის მიხედვითაც, რაიმის ქმედითუნარიანობა მის ერთადერთ ღირებულებად მოიაზრება. ამ ორი ძალის საერთო შედეგი, რომელიც მასობრივ კომუნიკაციასთან, მასობრივ კულტურასა და ცენტრალურ ავტორიტეტებთან დაკავშირებულ პროცესებში ვლინდება, „ინდივიდებისა და კულტურებისათვის ადგილის ცნების დაკნინება და ამა თუ იმ გამორჩეული და ღირებული ადგილის უწონო, მარტივად მიმოცვლადი გარემოს ფორმებით სასხვათაშორისო ჩანაცვლებაა“ (რელფი 1976, გვ. 143).

„ადგილისა და უადგილობის“ მემკვიდრეობა

რელფის ნაშრომის გამოქვეყნების შემდგომ, ადგილის ბუნების საკითხზე მრავალი კვლევა შეიქმნა. გარდა ამისა, სხვადასხვა ცნებითი პერსპექტივების მქონე მოაზროვნებმა, პოზიტივისტებიდან და ნეომარქსისტებიდან დაწყებული, პოსტსტრუქტურალისტებიც და სოციალური კონსტრუქტივისტებით დამთავრებული, ადგილის ცნების იდეა სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით განავრცეს და ამა თუ იმ თეორიული და პრაქტიკული მიზნისათვის გამოიყენეს (კრესუელი 2004; სიმონი 2000).

„ადგილისა და უადგილობის“ მიმართ სამეცნიერო ინტერესი წლების მანძილზე იზრდებოდა. საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებისა და ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროებში ციტირების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, წიგნი სამეცნიერო ჟურნალებში 1977-2005 წლებში 257-ჯერ იქნა დამოწმებული.

გამოცემიდან პირველ ათ წელიწადში, ეს რიცხვი, საშუალოდ, 12 იყო. მას შემდეგ, დამონმებათა რაოდენობა სტაბილურად იზრდებოდა და 2004 წელს 36-ს მიაღწია. 1989 წლიდან მოყოლებული, ყველაზე ხშირად წიგნს გეოგრაფები იმონებდნენ (142 ციტირება), თუმცა მის მიმართ საკმაო ინტერესი გარემოს შემსწავლელ მეცნიერებათა სფეროშიც იგრძნობოდა (118 ციტირება). გარდა ამისა, ნაშრომებში „ადგილსა და უადგილობას“ იმონებდნენ მკვლევრები ფსიქოლოგიის (43 ციტირება), სოციოლოგიის (42 ციტირება), ურბანული კვლევების (30 ციტირება), დაგეგმარების (21 ციტირება), ჯანდაცვისა (10 ციტირება) და ანთროპოლოგიის (9 ციტირება) სფეროებში.

მკითხველს რომ ვაჩვენოთ, როგორ იქცა რელფის მიერ „ადგილსა და უადგილობაში“ გაჟღერებული იდეები სხვა მკვლევრებისათვის მნიშვნელოვან ცნებით საყრდენად, სამ მაგალითს განვიხილავთ: ერთ წიგნს, ერთ სტატიას და ერთ დისერტაციას (უფრო ვრცელი სიისათვის იხ. სიმონი 2000). „ადგილი და უადგილობიდან“ ორ წელიწადში გამოქვეყნებული, დევიდ სიმონის „სასიცოცხლო გარემოს² გეოგრაფია“ რელფის შიდაობის იდეაზე აღმოცენებული პირველი მასშტაბური კვლევაა, რომელშიც ავტორი იმის ილუსტრირებას ცდილობს, როგორ შეიძლება განივრცოს შიდაობის იდეა ფენომენოლოგიურად იმ საკითხში გამოსარკვევად, რომელსაც სიმონი *ყოველდღიურ გარემოებით გამოცდილებას* უწოდებს, რაც ადამიანების უშუალო ჩართულობის მთლიანობას მოიაზრებს იმ გეოგრაფიულ სამყაროსთან, რომელშიც ისინი არსებობენ (სიმონი 1979, გვ. 15-16). სიმონი განიხილავს, როგორ გამოიხატება შიდაობის ნიშნები გეოგრაფიულად და გარემოებრივად ადამიანის მიერ განცდილი ისეთი განზომილებების გავლით, როგორიც სხეული, შერგძნებები და აზრებია. სიმონის ნამუშევარი ცდილობს აჩვენოს, რომ რელფის ადგილის ფენომენოლოგია იმ ცნებით სიცხადეს გთავაზობს, რომელზე დაყრდნობითაც მკვლევრებს შეუძლიათ, საკუთარ ფენომენოლოგიურ ძიებას მიჰყონ ხელი.

მეორე კვლევის ავტორი, რომელიც „ადგილისა და უადგილობის“ ცნებით პოტენციალს წარმოაჩენს, ლანდშაფტის არქიტექტორი, ვ. ფრენკ ჩეფინია. მისი ნაშრომი ბრეველის კუნძულს, 200-წლიანი ისტორიის მქონე მდინარის თემს ეხება, რომელიც მდინარე ქეინზე სახლობს და ლუიზიანას ნაჩიტოჩის სამრევლოს ეკუთვნის (ჩეფინი 1989). ამ რეგიონის ისტორიისა და გეოლოგიის გამოკვლევით, აქაურობის მკვიდრებთან ამომწურავი საუბრებითა და მდინარე ქეინზე კანოეთი ნიჩბოსნობისას ბრეველის კუნძულის ლანდშაფტზე საკუთარ დაკვირვებებზე დაყრდნობით, ჩეფინი ცდილობს, ადგილთან

² სასიცოცხლო გარემო - Lifeworld, გერმ. Lebenswelt, ჰუსლერის შემუშავებული ცნება; სოციალურ მეცნიერებებში აღნიშნავს იმ მოვლენებსა და დეტალების ერთობლიობას რომლებზე დაყრდნობითაც სამყარო „იცხოვრება“, განიცდება.

ემპათიური შიდაობის მდგომარეობას მიაღწიოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მკვლევრის მიზანია, ღია იყოს, რათა ბრველის კუნძულის თანმდევ ადგილის უნიკალურ განცდაში უფრო ღრმად შეაღწიოს. ჩეფინის ამ ადგილთან მიმართების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იმ მოულოდნელ გააზრებაში მდგომარეობს, რომ მდინარე ქეინი კიდევ კი არაა, რომელიც ორ ნაპირს ერთმანეთს აშორებს, არამედ ქარგა, რომელიც ამ ორ მხარეს ერთ თემად, ერთ ადგილად აქცევს.

მესამე კვლევა, რომელიც „ადგილსა და უადგილობაში“ ნამოჭრილ ცნებებზეა აგებული, ფსიქოლოგ ლუიზ მილიოს დისერტაციაა (მილიო 1992), რომელიც ფენომენოლოგიური თვალსაზრისით იკვლევს სოფლის მკვიდრი ხუთი კანადელი ოჯახის გამოცდილებას, რომელთაც თავიანთი სახლების დატოვება სამხრეთ ალბერტაში ნყალსაცავის მშენებლობის გამო მოუწიათ. რელფის შიდაობისა და გარეობის ფორმებზე დაყრდნობით, მილიო იმ ცნების ძირითად ყოფით თვისებებს გამოყოფს, რომელსაც უნებურ გადაადგილებად მოიხსენიებს და მასში ოჯახების მიერ საცხოვრებლის იძულებითი გამოცვლასა და სხვაგან გადასახლებას მოიაზრებს. ხუთივე ოჯახთან ჩატარებული დეტალური ინტერვიუების საფუძველზე, ავტორი ცდილობს, აჩვენოს, რომ უნებური გადაადგილების პროცესში, თავად ადგილია საკვანძო და, შედეგად, ეს გამოცდილება ეგზისტენციალურად რვასაფეხურიან იძულებით მგზავრობად შეიძლება იქნეს აღქმული. ეს საფეხურებია: (1) შფოთვა, (2) ადგილზე დარჩენის მცდელობა, (3) შეგუების საჭიროება, (4) ახლის ძიება, (5) თავიდან დაწყება, (6) ამაღელვებელი შემახსენებლები და (8) კვლავ გადასახლების სურვილი. ადგილის დაკარგვისა და გადასახლების მცდელობის პროცესის ამგვარ ეტაპებად დაყოფით, მილიოს კვლევა დემონსტრირებს, თუ როგორ შეიძლება რელფისეული შიდაობა და გარეობა ადგილთან დაკავშირებულ გამოცდილებასა და ადგილის იდენტობაზე დასაკვირვებლად გამოვიყენოთ, როცა ეს უკანასკნელნი ეტაპობრივად ძლიერდებიან, სუსტდებიან, ან დროთა განმავლობაში იზრდებიან, თუ მცირდებიან.

„ადგილისა და უადგილობის“ კრიტიკა

ზოგადად, „ადგილსა და უადგილობას“ სამი ძირითადი მიზეზით აკრიტიკებენ: რომ ის ესენციალისტური ბუნებისაა; რომ დღევანდელობაში არსებული ადგილების სინამდვილესთან შეხება არ აქვს; და რომ ის მეტისმეტად მარტივ დუალიზმებზეა აგებული, რომლებიც ადგილთან დაკავშირებულ გამოცდილებას მცდარად და შეზღუდულად წარმოაჩენენ. განსაკუთრებით აკრიტიკებენ „ადგილის გლობალური განცდის“ შესაძლებლობას (მესი 1997, გვ. 323). ესენციალისტური ბუნების შესახებ კრიტიკას მეტწილად მარქსისტები (მაგ. პიტი 1998, გვ. 63) და სოციალური კონსტრუქტივისტები (მაგ.

კრესუელი 2004 გვ. 26, გვ. 30-33) გამოთქვამენ, რომელთა აზრითაც, რელფი წინასწარ უშვებს და ამტკიცებს მუდმივი და უნივერსალური ადამიანური მდგომარეობის არსებობას, რომელიც მხოლოდ მაშინ გაამჟღავნებს თავს, როცა „მეორეხარისხოვანი“, მაგალითად, ისტორიული, კულტურული და პირადი თვისებები გვერდზე გადაიდება და მხოლოდ გარდაუვალი, ძირეული ადამიანური გამოცდილება დარჩება. ეს კრიტიკოსები თვლიან, რომ ადგილთან დაკავშირებული გამოცდილების მხოლოდ საბაზისო ეგზისტენციალური თვისებებისა და სტრუქტურის წინა პლანზე წამონევით, რელფს ის კონკრეტული დროითი, სოციალური და ინდივიდუალური გარემოებები რჩება ყურადღების მიღმა, რომლებიც ამა თუ იმ ადგილსა და ინდივიდებისა და ჯგუფების მათთან დაკავშირებულ გამოცდილებებს აყალიბებენ.

ამგვარი კრიტიკის ფარგლებში მცდარადაა გაგებული ზოგადი ფენომენოლოგიური აღქმა, რომლის მიხედვითაც ადამიანური გამოცდილებისა და არსებობის სხვადასხვა განზომილებები არსებობს და სხვადასხვა ადამიანურ თუ საზოგადოებრივ ფენომენში გამოსარკვევად, ყოველი მათგანის გათვალისწინებაა საჭირო. ეს განზომილებებია: (ა) კონკრეტული ადამიანის უნიკალური, პირადი მოცემულობა, მაგ. გენდერი, თანდაყოლილი ფიზიკური და ინტელექტუალური მახასიათებლები, ამა თუ იმ შესაძლებლობის დონე, და პირადი სიმპათიები და ანტიპათიები; (ბ) კონკრეტული ადამიანის უნიკალური ისტორიული, სოციალური და კულტურული მოცემულობა, მაგ. ეპოქა და გეოგრაფიული არეალი, რომელშიც პიროვნება არსებობს, მისი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა და მისი საგანმანათლებლო, რელიგიური და საზოგადოებრივი ფონი; (გ) კონკრეტული ადამიანის მოცემულობა, როგორც ტიპური ადამიანისა, რომელიც ტიპურ ადამიანურ სამყაროში არსებობს და მას აირეკლავს, მაგ. რელფის იდეა, რომლის თანახმადაც, ადგილი ადამიანური გამოცდილების განუყოფელი, ცოცხალი სტრუქტურაა.

ადგილის ცნებასთან დაკავშირებული რელფის ზოგადი დასკვნები (რომლებიც, პირველ რიგში, (გ) კატეგორიას ებმის) ასეთი საინტერესო და დინამიკური იმ პოტენციალის გამოა, რომელიც მათ, როგორც საწყის წერტილებს გააჩნიათ, (ა) და (ბ) კატეგორიებში შემავალი ცნებების შესახებ მეტად კონკრეტულ ფენომენოლოგიურ კვლევათა ხელშესაწყობად, მაგალითად, როგორც ეს ჩეფინისა და მილიოს ზემოთხსენებული ნაშრომებით გამოიხატა. ჩეფინის კვლევა იმას აჩვენებს, როგორ უწყობს რელფის ზოგადი პრინციპები ხელს ჩამოყალიბებაში და მიმართულებას აძლევს ფენომენოლოგიურ კვლევას, რომელიც ერთი კონკრეტული ადგილის, ამ შემთხვევაში, მდინარე ქეინის თემის, სოციალურ და კულტურულ განზომილებებზეა კონცენტრირებული. თავის მორიგ კვლევაშიც, რომელიც იძულებით გადაადგილებულ ფერმერებს ეხება, მილიოც იმას ილუსტრირებს, როგორ

შეიძლება რელფის მიერ შემუშავებულ ზოგადი პრინციპებითა და დასკვნებით ხელმძღვანელობა სპეციფიკურ ადგილას, დროში და მოცემულობაში, სპეციფიკურ ინდივიდებთან და ოჯახებთან დაკავშირებული კვლევის ჩასატარებლად. თავის მხრივ კი, ჩეფინისა და მილიოს უფრო კონკრეტული აღმორჩენები აფართოებენ რელფის მეტად ზოგად იდეებსა და სიცხადე შეაქვთ მათში.

საერთო ჯამში, ადგილის რელფისეული ფენომენოლოგია ზოგადსა და კონკრეტულს, საბაზისოსა და კერძოს, ცნებითსა და ცოცხალს შორის ცნებითი და მეთოდოლოგიური ურთიერთშეთანხმებისაკენ მიიღტვის. დონეებს შორის ამგვარი „მორგებულობის“ არგუმენტი ფენომენოლოგიის გამორჩეული მახასიათებელია.

ცნებითი შეჯერებულობის ნაკლებობა?

„ადგილისა და უადგილობის“ ოცი წლისთავისადმი მიძღვნილ დანართში, რელფი (1996) წერს, რომ იმჟამინდელი გადმოსახედიდან, ნაშრომის ერთ-ერთ სუსტი მხარე მასში ცნებითი შეჯერებულობის ნაკლებობა, უფრო ზუსტად კი დიალექტიკური ანტონიმების, მაგ. შიდაობისა და გარეობის, ადგილისა და უადგილობის, ავთენტურობისა და არაავთენტურობის და ა.შ, ადგილთან დაკავშირებული გამოცდილების კონცეპტუალიზაციის მიზნით გამოყენებაა. ამ მიდგომის ერთ-ერთი შედეგი ისაა, რომ კრიტიკოსები ხშირად მცდარად აღიქვამენ რელფის თვალთახედვას და თვლიან, რომ იგი ადგილს ამჯობინებს უადგილობას, შიდაობას - გარეობას, ავთენტურ ადგილებს - არაავთენტურებს, ფესვგადგმულობას - მობილობას, მისთვის ადგილის სასურველი სახე კი სტატიკური, შემოსაზღვრული ალაგია და არა დინამიკური, გლობალურად დაკავშირებული პროცესი (კესუელი 2004, მესი 1997, პიტი 1998).

თუმცა, თუკი „ადგილსა და უადგილობას“ გულმოდგინედ წავიკითხავთ და მეტი სიზუსტისათვის ადგილთან დაკავშირებულ ჩვენს საკუთარ გამოცდილებებს დავეყრდნობით, მივხვდებით, როგორი მრავლისმომცველი და მოქნილია რელფის შემუშავებული ცნებითი სტრუქტურა. შიდაობისა და გარეობის კონტინუუმზე დაყრდნობით, რელფი გვთავაზობს ენას, რომლის მეშვეობითაც კონკრეტული ადამიანებისა თუ ჯგუფების კონკრეტულ ადგილებთან დაკავშირებული კონკრეტული გამოცდილებების ნათლად სახელდებაა შესაძლებელი. რელფი იმის აღსაწერადაც გვთავაზობს ტერმინოლოგიას, როგორ და რატომ შეიძლება იყოს ერთი და იგივე ადგილი სხვადასხვა ინდივიდების მიერ სხვადასხვაგვარად განცდილი (მაგ. ძველი მაცხოვრებლების, ახალგადმოსულების, ამ ადგილის მკვლევრების), ანდაც, როგორ შეიძლება, დროის

სვლასთან ერთად, ერთი ინდივიდი ერთ ადგილს სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად გამოცდიდეს (მაგ. ჩვენი სახლი და თემი ახლობლის გარდაცვალების შემდეგ ხშირად სულ სხვაგვარი გვეჩვენება).

როგორც ამას რელფის წიგნი შთამბეჭდავად ილუსტრირებს, ფენომენოლოგიურ მიგნებათა ერთ-ერთი ძირითადი თვისება ცნებითი ენის იმგვარად გამდიდრებაა, როგორც ადამიანს საშუალებას აძლევს, თითქოსდა-თავისთავად ყოველდღიურ გამოცდილებას (ფენომენოლოგიური ტერმინოლოგიით, სასიცოცხლო გარემოს) გაემიჯნოს (ბატიმერი 1976, სიმონი 1979, 2000). მკვლევრები საკმაოდ ხშირად ვერ ხედავენ საჭიროებას, სასიცოცხლო გარემოს უბრალო აღწერილობასა და მასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას გასცდნენ, რისი შედეგიც სწორედ იმ ფენომენტა ბუნდოვანება და გაურკვევლობაა, რომლებშიც გამორკვევასაც ისინი ცდილობენ.

მაგალითისთვის, ფემინისტური ხასიათის, კულტურის შემსწავლელ კვლევებში, რომლებიც ადგილთან დაკავშირებულ ნეგატიურ, ტრავმატულ სურათებს ეთმობა ყურადღება (მაგ. როუზი 1993, გვ. 53-5), ხშირად ესმევა ხაზი იმას, თუ როგორ აყალიბებს ოჯახური ძალადობა ისეთ შინაურ სივრცეებს, სადაც ოჯახის წევრები თავს შევიწროების მსხვერპლებად, საფრთხის ქვეშ გრძნობენ. პოსტსტრუქტურალისტური და სოციალურ-კონსტრუქტივისტული მხარეები ზედმეტად ხშირად ასკვნიათ, რომ საჭიროა, სახლისა და ადგილის ზოგადი ცნებები დავაყენოთ კითხვის ნიშნის ქვეშ და ვივარაუდოთ, რომ ისინი, შესაძლოა, ნოსტალგიური ხასიათისა და ესენციალისტური ბუნების წარმოდგენებია, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებაში საფუძვლიან სოციალურ და პოლიტიკურ მოდიფიკაციასა და ჩანაცვლებასაც საჭიროებენ.

შიდაობისა და გარეობის რელფისეული ფორმები ყოველივე ზემოთხსენებულის განსხვავებულ აღქმაზე მიაწინებენ. პრობლემა სახლსა და ადგილში კი არა, იმ ცნებით შერწყმაშია, რომლისთვისაც რელფის ენა მარტივ შესწორებას გვთავაზობს: მსხვერპლის გამოცდილება არათუ სახლს-შიდაობის ნაკლებობად, არამედ ეგზისტენციალური გარეობის ფორმად შეგვიძლია გავიაზროთ, რომელიც, როცა ადამიანის ყველაზე ინტიმურ ადგილს, სახლს ებმის, განსაკუთრებით საზიანო და პოტენციურად, ცხოვრების დამანგრეველია.

ეგზისტენციალური გარეობის რელფისეული ფორმა საშუალებას გვაძლევს, სახლისა და ძალადობის ცნებები ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ. ადგილთან დაკავშირებული მისი ცოცხალი ენის მეშვეობით, უფრო ზუსტად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოჯახური ძალადობა, ქალს მიემართება ის თუ კაცს, მოცემულობაა, რომელშიც ადგილი, სადაც, როგორც წესი, ყველაზე მძლავრი ეგზისტენციალური შიდაობა იშობა ხოლმე, პარადოქსულად,

ყოვლისმომცველი ეგზისტენციალური გარეობის ადგილი გამხდარა. ამის შედეგი, ცხადია, სრულებით დესტრუქციულია.

მოკლევადიანი ფენომენოლოგიური შეკითხვა ის იქნებოდა, როგორ უნდა დავეხმაროთ ოჯახური ძალადობის მსხვერპლებს ეგზისტენციალური შიდაობის მდგომარეობის დაბრუნებაში. გრძელვადიანი კი ის, ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებული რა თვისებები და ძალები ქმნიან მოცემულობას, რომელშიც სახლისა და სახლს-შიდაობის ეგზისტენციალური შიდაობა ტკივილამდე და სასოწარკვეთამდე მდაბლდება. აშკარაა, რომ რაღაც ძალიან გაუმართავია, ხოლო პრობლემის ერთ-ერთი სათავე თავად ეს პრობლემავე შეიძლება იყოს, ესე იგი, გამოცდილების მრავალ სხვადასხვა დონეზე ადგილისა და შიდაობის მზარდი ნგრევა, სახლებში იქნება ეს, სამეზობლოებში, ქალაქებში თუ ერებში (ფულილავი 2004; რელფი 1993).

ჩვენი დროების ერთ-ერთი გადამწყვეტი შეკითხვა ისაა, როგორ უნდა შევინარჩუნოთ შიდაობა და ადგილი, როცა ყოველივე იცვლება, საზოგადოება მრავალფეროვანია, ხოლო ტრადიციული „ჭეშმარიტებები“ აღარ მუშაობენ. „ადგილი და უადგილობა“ პირდაპირ პასუხს არ იძლევა, თუმცა ამ კითხვის გარშემო სააზროვნოდ ინოვაციურ ენას გვთავაზობს.

ბინადრობა და მოგზაურობა

„ადგილისა და უადგილობის“ მისამართით გაჟღერებული მორიგი კრიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ტექსტი სახლს, ცენტრსა და ბინადრობას ჰორიზონტზე, პერიფერიასა და მოგზაურობაზე მაღლა აყენებს (კრესუელი 2004, მესი 1997, პიტი 1998). როგორც რელფი (1996) ოცი წლისთავისადმი მიძღვნილ დანართში წერს, მას ბრალი ადგილის დადებითი მახასიათებლებისათვის ხაზგმასმასა და მისი უარყოფითი თვისებების უგულვებელყოფაში დასდეს, მაგ. იმ შესაძლებლობის, რომ ადგილმა პროვინციალიზმი, ქსენოფობია და ჩაკეტილი აზროვნება შვას (აგრეთვე იხ. რელფი 2000). თუმცა, ტექსტისათვის ჩაღრმავება კვლავაც ამჟღავნებს გამოხატვის მოქნილობას - იმ გააზრებას, რომ ადგილის დამახასიათებელ ზომიერებას ისევე შეუძლია გარეშე პირებისადმი პროვინციალურ და გულცივ დამოკიდებულებათა შობა, როგორც მოგზაურობის სიჭარბეს ძალუძს იდენტობის დაკარგვისა და იმ მიუკერძოებელი შედარებითობის გაღვივება, რომლის შედეგადაც ადამიანი აღარაფრისადმია ერთგული. წიგნის ცოცხალი დიალექტიკა (ცენტრი/ჰორიზონტი, ადგილი/უადგილობა და ა.შ) ცნებით ურთერთმიმართებათა შესანიშნავ მოქნილობას გადმოსცემს, რაც ფენომენოლოგიის მორიგი გამორჩეული მახასიათებელია.

ოცი წლისადმი მიძღვნილი გამოცემის დანართში რელფი (1996) იმასაც ამბობს, რომ ზოგიერთმა კრიტიკოსმა მცდარად აღიქვა ტექსტი წინარემოდერნული დროებისა და ადგილების ნოსტალგიური ხოტბად (მაგ. პიტი 1998). როგორ შეიძლება, მასში წინწამონეული ავთენტური ადგილები კიბერსივრცის, მუდმივი ტექნოლოგიური ცვლილებების, ადამიანური მრავალფეროვნებისა და გეოგრაფიული და სოციალური მობილობის ჩვენს პოსტმოდერნულ დროებაში არსებობდნენ?

ამ სახის კრიტიკა, ცხადია, „ადგილისა და უადგილობის“ ძირითად დასკვნას უგულებელყოფს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერ ისტორიულ დროებაში, ანდაც გეოგრაფიულ, ტექნოლოგიურ თუ სოციალურ მოცემულობაში, *ადამიანებს ადგილი გააუდმებით ესაჭიროებათ*, ვინაიდან ადგილის ქონა და მის საფუძველზე იდენტობის ფორმაცია ჩვენი ადამიანური ბუნებისა და რაობის განუყოფელი ნაწილია (ქესი 1993, მალპა 1999). ამ თვალთახედვიდან გამომდინარე, არგუმენტი, რომლის მიხედვითაც, პოსტმოდერნულ საზოგადოებას ტექნოლოგიური და კულტურული ცვლილებებისა და გამოადგილის უგულებელყოფა შეუძლია, ეგზისტენციალურად საეჭვო და პოტენციურად დამანგრეველია, პოლიტიკის, მონყობის თუ საზოგადო აღქმის კუთხით (რელფი 1993).

ნაცვლად ამისა, თეორიაც და პრაქტიკაც შემდეგ საკვანძო კითხვაზე უნდა ცდილობდეს პასუხის მიგნებას: როგორ შეიძლება ადგილისა და შიდაობის „პროგრესული“ აღქმა ჩვენს რელატივისტურ, გამუდმებით ცვალებად პოსტმოდერნულ *სამყაროშიც კი იქნას დამკვიდრებული* (კრესუელი 2004, ჰორანი 2000, მესი 1997)? ოცი წლის წინ რელფი ერთ-ერთი პირველი მოაზროვნე იყო, რომელმაც ეს შეკითხვა დასვა და ის კიდევ უფრო დეტალურად იკვლია თავის მომდევნო ტექსტში, „რაციონალური ლანდშაფტები და ჰუმანისტური გეოგრაფია“ (რელფი 1981). დღესდღეობით, რელფის ღრმა მიგნებებისა და მოაზროვნეთა და პრაქტიკოსთა მცირე წრის მაგ. კრისტოფერ ალექსანდრეს (2002-05), მინდი ფულილავის (2004), ბილ ჰილიერის (1996), თომას ჰორანის (2000), დენიელ კემისისა (1995) და რობერტ მაგერაუერის (2004), შრომათა საფუძველზე, ამ კითხვაზე პასუხის ფენომენოლოგიურ ენაზე ჩამოყალიბებული საწყისი გაგვანია (სიმონი 2004), რომელიც ადგილის ცნებას აკადემიურ დისკურსში დომინანტი პოსტსტრუქტურული, სოციალურ-კონსტრუქტივისტული და ნეომარქსისტული პერსპექტივებიდან საკმაოდ განსხვავებულად განმარტავს (კრესუელი 2004).

იმ დრამატული სოციალური და გარემოს ცვლილებებისა და მიუხედავად, რომელთა წინაშეც ჩვენი სამყარო ამჟამად დგას, ადგილის, როგორც საკვანძო ცნებითი სტრუქტურისა და როგორც ყოველდღიური ყოფნის განუყოფელი ნაწილის მნიშვნელობა უცვლელი რჩება. ეს იმას არ გულისხმობს, რომ სამყარო უნდა, ან შესაძლებელია, კვლავაც განსხვავებული

ადგილების წყება გახდეს, რომლებიც ერთმანეთთან უკავშიროს და, შეიძლება ითქვას, ერთმანეთზე ბევრი არაფერი იცის. თანამედროვე, გლობალურად დაკავშირებულ საზოგადოებაში, ადგილის დამოუკიდებლობა მრავალგვარადაა შესაძლებელი (კრესუელი 2004, რელფი 2000). და მაინც, ადგილისა და ლოკალურობის მნიშვნელობა სხვა ადგილებში გათვიცნობიერებულობასა და გლობალურ საჭიროებებთან შერწყმით უნდა დაბალანსდეს (მესი 1997). ჩვენი საკუთარი სივრცეების მიღმა არსებული სამყაროების გულისხმიერი და თანაგრძნობითი აღქმა, შესაძლოა, იმ კონკრეტული ადგილის სიყვარულზე უნდა დაშენდეს, რომელსაც თავად ვეკუთვნით. ამ გზით შეგვიძლია, დავინახოთ, რომ ჩვენი ყოველდღიური ყოფითი საჭიროებები სხვა სამყაროებში არსებულთა საჭიროებებს ჰგავს (რელფი 1981, 1993).

„ადგილი და უადგილობა“ ადგილის პოტენციური თეორიული და პრაქტიკული ძალის შესანიშნავი დემონსტრაციაა, ადგილის, რომელიც, თავისი ბუნებით, სივრცულად და გარემოებრივად მოიცავს სამყაროებს და ადამიანების მოქმედებისა და განზრახვების ცენტრებს აწესებს, რომლებიც, თავისი მხრივ, ადგილის შექმნაში იღებენ მონაწილეობას (ქესი 1993, მალპასი 1999). ადგილისა და შიდაობის სამყაროში დღეს მიმდინარე რღვევა დასავლეთში თუ მის მიღმა, ცივილურობისა და ცივილიზაციის მზრდადი ერობიის მიზეზის დადგენაში შეგვიძლია, დავიხმაროთ. დაახლოებით ოცდაათი წლის წინ, რელფმა „ადგილსა და უადგილობაში“ ამ დილემაზე პირველად მიგვითითა და ეს საკითხი დღესაც უზომოდ მნიშვნელოვანია.

ბიბლიოგრაფია

Alexander, Christopher, 2002-05. The Nature of Order (4 volumes). Berkeley, California: Center for Environmental Structure.

Buttimer, Anne, 1976. Grasping the Dynamism of Lifeworld, Annals of the Association of American Geographers, 66: 277-92.

Casey, Edward, 1993. Getting Back into Place: Toward a Renewed Understanding of the Place World. Bloomington: Indiana University Press.

Chaffin, V. Frank, 1989. Dwelling and Rhythm: The Isle Brevelle as a Landscape of Home. Landscape Journal, 7, 96-106.

Cresswell, Tim, 2004. Place: A Short Introduction. London: Blackwell.

Fullilove, Mindy, 2004. Root Shock. NY: Ballantine.

- Hillier, Bill, 1996. *Space Is the Machine*. Cambridge: Cambridge University Press.
- Horan, Thomas A., 2000. *Digital Places: Building Our City of Bits*. Washington, DC: Urban Land Institute.
- Kemmis, Daniel, 1995. *The Good City and the Good Life*. New York: Houghton Mifflin.
- Malpas, J. E., 1999. *Place and Experience: A Philosophical Topography*. Cambridge: Cambridge University Press.
- Massey, Doreen, 1997. *A Global Sense of Place*, In T. Barnes and D. Gregory, eds., *Reading Human Geography* (pp. 315-23). London: Arnold.
- Million, M. L., 1992. "It Was Home": A Phenomenology of Place and Involuntary Displacement as Illustrated by the Forced Dislocation of Five Southern Alberta Families in the Oldman River Dam Flood Area. Doctoral dissertation, Saybrook Institute Graduate School and Research Center, San Francisco, California.
- Mugerauer, Robert, 1994. *Interpretations on Behalf of Place: Environmental Displacements and Alternative Responses*. Albany, New York: State University of New York Press.
- Peet, Richard, 1998. *Modern Geographic Thought*. Oxford: Blackwell.
- Relph, Edward, 1976. *Place and Placelessness*. London: Pion.
- Relph, Edward, 1981. *Rational Landscapes and Humanistic Geography*. New York: Barnes and Noble.
- Relph, Edward, 1993. *Modernity and the Reclamation of Place*. In D. Seamon, ed, *Dwelling, Seeing, and Designing: Toward a Phenomenological Ecology* (pp. 25-40). Albany, NY: SUNY Press.
- Relph, Edward, 1996. *Reflections on Place and Placelessness*. *Environmental and Architectural Phenomenology Newsletter*, 7, 3, 14-16 [special issue on the twentieth anniversary of the publication of *Place and Placelessness*; includes commentaries by Margaret Boschetti, Louise Million, Douglas Patterson, and David Seamon].
- Relph, Edward, 2000. *Author's Response: Place and Placelessness in a New Context* [Classics in Human Geography Revisited, *Place and Placelessness*]. *Progress in Human*

Geography, 24 (4):613-619 [includes commentaries by John R. Gold and Mathis Stock].

Rose, Gillian, 1993. *Feminism and Geography*. Cambridge: Polity.

Seamon, David, 1979. *A Geography of the Lifeworld: Movement, Rest, and Encounter*. NY: St. Martin's.

Seamon, David, 2000. *A Way of Seeing People and Place: Phenomenology in Environment Behavior Research*. In S. Wapner, J. Demick, T. Yamamoto, and H. Minami, eds., *Theoretical Perspectives in Environment-Behavior Research* (pp. 157-78). New York: Plenum.

Seamon, David, 2004. In Tom Mels, ed., *Grasping the Dynamism of Urban Place: Contributions from the Work of Christopher Alexander, Bill Hillier, and Daniel Kemmis*. In Tom Mels, ed., *Reanimating Places* (pp. 123-45). Burlington, Vt: Ashgate.

Tuan, Yi-Fu, 1974. *Topophilia: A Study of Environmental Perceptions, Attitudes, and Values*. Englewood Cliffs, New Jersey: Prentice-Hall.